ხელშეკრულება №42

(სატრენინგო მომსახურეობის გამარტივებული შესყიდვის შესახებ)

ჭიათურა 12 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი", მის: ქ. ჭიათურა ნინოშვილის ქ.№11, შემდგომში "შემსყიდველი", დირექტორის მაკა წერეთლის სახელით და მეორეს მხრივ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59), რექტორის პროფესორ გიორგი ღავთაძის (შემდგომში – „მიმწოდებელი") სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისაგან" სატრენინგო მომსახურეობის, კლასიფიკატორის კოდი – 80500000 სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. მხარეთ აუფლებები და მოვალეობები

„შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

3.1 გადაუხადოს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული მომსახურეობის ღირებულება.
3.2. დროულად მიაწოდოს „მიმწოდებელს" ტრენინგზე დამსწრეთა სია.
3.3. უზრუნველყოს ტრენინგზე დამსწრეთა დროული გამოცხადება.
3.4. უზრუნველყოს მიმწოდებლის წარმომადგენელი შრომის ადექვატური პირობებით.
3.5. „შემსყიდველს" უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს ჩასატარებელი ტრენინგის თემატიკას და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა.

„მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

3.7. გადაამზადოს ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" განყოფილებების აღმზრდელები სკოლამდელი განათლების რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად.
3.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.
3.9. ტრენერი ოთხი დღის (19-20 და 21-22 დეკემბერს) განმავლობაში იმუშავებს განყოფილებების აღმზრდელებით დაკომპლექტებულ 25- 25 კაციან ჯგუფთან.

4. ანგარიშსწორება

4.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
4.2. „შემსყიდველი" „მომწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ტრენინგის თითოეულ მონაწილეზე გადაუხდის 40 (ორმოცი) ლარს.
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.
4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურეობის შესახებ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის შესაბამისად.

5. სადავო საკითხების გადაწყვეტა

5.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა მოლაპარაკებების საშუალებით მოაგვარონ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
7.2. სატრენინგო მომსახურეობის გაწევის ვადა განისაზღვრება 2014 წლის 25 დეკემბრამდე.
7.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 იანვრამდე.

8. დამატებითი პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
8.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
8.3. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებზე და იღებენ **პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე**.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
მის: ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №11
ანგ № GE71LB0115160745923000
ს/კ 215613254
სს „ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22

დირექტორი მ. წერეთელი

„მიმწოდებელი“

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ქუთაისი თამარ მეფის ქ. №59
ს.ს „VTBვითბი ბანკიჯორჯია UGEBGE22
a/n GE60VT0500000009993408GE ს/კ212693049

რექტორი გიორგი დავთაძე